წელიწადი მეხუთე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

თეთრი გიორგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყმაწვილო იყავ ერთგული შენი ქვეყნისა,
აქ გმირულად ჩაღვრილა სისხლი მამა და პაპისა.

ანტონ ფურცელაძე.

პარიზი.
თიბათვე 1930 წელი
N° 28

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris - XVII

Paris
Juin 1930
N° 28

ფასი
2
ფრანკი

ისტორიის გზაზე.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ისტორიული გზი მუდამ იგივე ელფერისაა.

ვინც ურდა იყოს მტერი, როგორიც არ უნდა იყოს ის ძლიერი და სასტიკი, რომელ სამუალებასაც არ უნდა მიმართოს საქართველოს სამუდამოთ დასამორჩილებლად, ვერას გახდება. ეროვნული სული იმარჯვებს ყოველთვის: საქართველო ისევ დგება აღორძინების გზაზე.

როგორი ტლანქი და უსვიში არ უნდა იყოს მტრის ვერაგი ძალა, ვინც უნდა იყოს მკაცრი ქართველთა მიწა-წყლის უცხო მფარველი ან ხშირად მხოლოდ გარეგნული სუფერენი, მას ვერ ძალუძს ეროვნული სულის ჩაქრობა. ეროვნული სული უძლეველი გარანტიაა სახელმწიფოებრივი სიცოცხლისა.

მთელი ქართულ ისტორიის განმავლობაში მტრის წინაშე იდგა ერთი და იგივე ამოცანა: «რას გააწყოს იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და ხულსხორცხე მადლა აყენებს?» ამ შეკითხვაზე მტრისთვის პასუხი მუდამ იგივე იყო: «ჯერ სული დაუმდაბლდეს და მხოლოდ მერე შეიძლება ამ ხალხის მოდრეკა».

ქართველს მტრის პოლიტიკური მეთოდი მუდამ ერთნაირია: ხან რისხვით, ხან წყალობით დააყენოს ქართველთა მეწინავე ენერგები გადაგვარების გზაზე. დროებით გამარჯვებული მტერი ისევ დროებით აღწევს ხოლმე მიზანს: არაბების, მონღოლების, სპარსელების და რუსების დროს ეს ხერათი იმვიათი მხვეხებისა: იგივე გადაგვარების გზა. [illegible] რომელნიც «შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა». მყისვე მტერი ან ხალხის მიმართ იცვლის თავის პირდაპირ პოლიტიკას. შაჰაბაზის უსვმა წყალობამაც დააბრმავა კაზეთი: კუჭმა გულს სძლია, სულმა ხორცს დაუთმო. მეწინავე დასს და მათ ბელადებს ტყუილად კი არ უსვამდა თავზე ხელს სპარსეთის ახალი პოლიტიკა. სასახლის კარზე უპირველესი ადგილები დაიჭირეს ქართველებმა და ადვილად დაკმაყოფილებულნი მიეცნენ მტრის სამსახურს; არც ნიჭი, არც ცოდნა არც სხვა რამე კაცური ღირსება არ სჭრიდა. პირადების ასამაღლებლად ხაკმაო იყო მხოლოდ თავდადებული ერთგულება სპარსეთისადმი და სამშობლოს ნელნელა გაწირვა. ვინც ქართველებას არ ივიწყებდა ის იჩაგრებოდა, რაც უნდა გმირთა გმირიც ყოფილიყო. მაგრამ ეს დაცემა მხოლოდ დროებითია. ქართველ ერის სული უკვდავია. ამ სულის თვისება, როგორც ამბობს ჩვენი დიდებული ისტორიკოსი, შემდეგნაირია: «იგი ყოველ ძალმომრეობას და ძალდატანებას, დევნასა და ტანჯვას, თუნდაც განცხადებულად, ძალ-ღონით არ იყოს, უხილავად მაინც წინააღმდეგობას უწევს და მაკრდება. მაშინაც ამ დევნამ გამოაფხიზლა ქართველობა. ამ შეგიწროებამ ჩააზედა ღრმად ცხოვრებაში და შეჰქმნა ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც ყოველგვარ ფიზიკურ ღონეზე უძლიერესია. სწორედ ამ დროს გაისმა მეჭრმეტყველი ხმა: «ხიყვარული იგი ქრისტესი ჩვენდამი და სარწმუნოებაჲ ჩვენი მის მიმართ კვლაჲ განახლდაო»...

ეს არის შინაარსი და უცვლელი შინაარსი ჩვენი ისტორიისა. დღესაც თეთრი გიორგი, როგორც უწინ, ისტორიის გზაზე მიისწრაფის გამარჯვებისაკენ.

გ. საფარელი.

მარტივი საუბარი.

სახელმწიფოს კაცსაო, ამბობს კანოვას დელ კასტილო, თავის მოქმედების თეორეტიული დასაბუთება უნდა ჰქონდესო. ე.ი. სახელმწიფოს მესაჭენი, თავის პოლიტიკურ შემოქმედებაში, განსაზღვრულ პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდნენ. თუ ეს საჭიროა სახელმწიფოს მმართველთათვის, მით უმეტეს აუცილებელია პოლიტ. პარტიის და პოლიტ. ორგანიზაციისათვის. ყოველ პოლიტიკურ მოძრაობას საკუთარი თეორია უნდა გააჩნდეს; მძლავრად დასაბუთებულ და გამოქანდაკებულ იდეოლოგიას უნდა ემყარებოდეს. იდეოლოგიას მოკლებული პოლიტ. პარტია და მის მიერ შექმნილი პოლიტ. მოძრაობა უსაჭე ხომალდია. ამგვარი პარტია, აუცილებლად, ფატალურად მძლავრ მოვლენათა და მოპირდაპირე პარტიათა სათამაშოთ გახდება; ვერასფერს დიდს, ვერასფერს დადებითს ქვეყნისათვის ვერ შეჰქმნის.

მძლავრად დასაბუთებული იდეოლოგია ჰქმნის რწმენას და მთლიანობას; მოქმედებას აძლევს ლოღიკურ განვითარებას და ხანგრძლიობას; მოძრაობას ანიჭებს შინაარს, აზრს და უსახავს მიზანს. უიდეოლოგოთ დაწყებული პოლიტიკური მოძრაობა დამარცხებით დამთავრდება, ვით სტრატეგიას მოკლებული ტაქტიკა.

ხანგრძლივი და მძლავრი დარაზმულობა მხოლოდ ძლიერ და გარკვეულ პრინციპის გარშემოა შესაძლებელი. პრინციპი კი საჭიროებს ლიტერატურულ დასაბუთებას. ეს დასაბუთებაა თეორია და იდეოლოგია.

წმინდა სახარება ან ყურანი რომ არ დაწერილიყვნენ ქრისტიანობა და ისლამი დღევანდელ ძლიერებას ვერ მიახწევდნენ.

ეს სინამდვილე, პოლიტ. მოძრაობის, ყოველმა ხელაძღვანელმა უნდა იცოდეს.

ყოველივე ეს თეთრი გიორგიმ, თავიდანვე, ნათლად გაითვალისწინა. მან თავის მოქმედების სისტემის რკალი თავიდანვე შემოფარგლა. თეთრი გიორგი საკუთარ ორგანოს გაჩენის დღიდანვე შეუდგა თავის პოლიტ. და სოციალურ პრინციპების, თავის credo ს თეორეტიულად დასაბუთებას. ამნაირად, თ. გიორგის მოძრაობას საფუძვლად იდეოლოგია უდევს.

დიახ, პოლიტ. მოძრაობისათვის იდეოლოგია აუცილებელია. [illegible] თეორიის [illegible] ადამიანი. ამ ცოცხალი ძალის ღირებულებიდან [illegible] დამოკიდებული თეორიის გამოყენება, მისი გაცოცხლება, პრინციპის შემოქმედებაში გამომჟღავნება, მისი ცხოვრების სინამდვილეთ ქცევა.

საქართველოს პოლიტიკურ ბრძოლაში ამ ცოცხალი ძალის ღირებულების შესაფასებელი უმთავრესი საზომი პატრიოტიზმია. რამდენადაც მეტი ეროვნული შეგნება აქვს მომქმედ ცოცხალ ძალას, რამდენათ მძლავრ ეროვნულ გრძნობითაა ის აღბეჭდილი, იმდენად მეტ ღირებულებას წარმოადგენს. რა ჰქმნის ამ ღირებულებას? ხანა, გარემოება, დროთა ვითარება.

ალექსანდრე ბატონიშვილის დამარცხების შემდეგ, საქართველოში, ეროვნული შეგნება პროგრესიულ დაქვეითების გზაზედ დადგა. დაცემის იმ ზომამდე მივიდა, რომ ეროვნულ საშიშროების უდიდეს მომენტებშიც კი, ჩვენი პოლიტ. ცხოვრების წიაღიდან, მხოლოდ სოციალისტური პარტიები წარმოიშვნენ. ამ საერთო დაცემის და გადაგვარების ნიადაგზედ აღზრდილ ცოცხალ ძალას ე.ი. პიროვნებებს რა ღირებულება უნდა ჰქონებოდეთ?

გადატყდა, შეილახა ეროვნული ცხოვრება და მასთან ერთად გადატყდა და შეილახა ქართველი პიროვნებაც: უწინდელ მედგარ რაინდებიდან თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი გადაიქცა უპრინციპო, მოქეიფე სალახანათ, რომელიც საქეიფო მაგიდაზედ, ერთი ყანწით საქართველოს სადღეგრძელოს. სვამდა და მეორეთი რუსის იმპერატორისა; რუსთაველების, ბესიკების და გურამიშვილების ნაცვლად გაჩნდნენ პოეტები, რომელნიც ერთი და იმავე ხელით პატრიოტულ ლექსებსაც სწერდნენ და რუსეთის ძლიერებისათვის ხმალსაც იქნევდნენ; თან თამარ მეფის ხატის წინ დაჩოქილნი ცრემლებსა ღვრიდნენ და თან სამშობლოს მტრის „ეპოლეტები“ ეკერათ მხრებზედ.

რუსეთის გამხრწნელმა გავლენამ, მოაზროვნე მთლიან და საღ ბუნებიან უწინდელ ქართველიდან, სულიერად დაავადმყოფებული, ეროვნულად გზა აბნეული ტიპი შეიქმნა. რასაკვირველია, გამონაკლისები ყოველ წრეში მოიპოვებოდნენ, მაგრამ მხოლოდ გამონაკლისები, რომელთა ხმა და ენერგია საერთო გადაგვარების ჭაობში იხრჩობოდა.

ჩვენი საზოგადოება თან და თან იმ საფეხურამდე დაეცა, რომ პატრიოტიზმზედ არამთუ ლექსების წერა და ცალიყბით ლაპარაკი, არამედ თვით სიტყვა „სამშობლო“ და „პატრიოტი“ სამარცხვინოდ, დანაშაულად გამოაცხადეს. ამ მოშხამულ ატმო-

სფეროში ბუნებრივად წარმოიშვნენ მენშევიკების ტიპები და მახარაძეები, ოროახელაშვილები, ორჯონიკიძეები. დრო იყო დაცემული და მის წიაღიდან წარმოშობილნი პიროვნებებიც მისი მსგავსი. ბოლოს მენშევიკების პარტია ანტი-პატრიოტულ ძალათა ნამდვილ ქარხანათ გადაიქცა და მარქსიზმის მანქანა ასობით აფრქვევდა ოსტატურად დამუშავებულ ტიპებს, აზროვნებით შერყვნილ პიროვნებებს: პროპაგანდისტებს, ტეროორისტებს, გარუსებულებს, რომელთ მთელი 40 წლის განმავლობაში სწამლეს, ისედაც დასნეულებული, ეროვნული ორგანიზმი.

მაგრამ როგორც ამბობს ჩვენი თეთრ გიორგელი მგოსანი:

..«დიდი წარსული, ძველი დიდება
განმეორდება, განმეორდება».

შთამომავალთა სულში, დღეს თუ ხვალ, წარსულის სული განახლებული ენერგიით იფეთქებს ხოლმე. ყველა იმ ერთა ცხოვრებაში, რომელთ სიცოცხლის ძალა შესწევთ, ატავიზმის ეს კანონი, ადრე თუ გვიან თავს იჩენს ხოლმე. ესევე ხდება დღეს საქართველოშიც. წინაპართ ხელით დათესილი თესლი ოქროს თავთავებათ ამოდის. ბაზალეთის ტბის ძირას ჩასვენებულ აკვნიდან სდგება რაინდი: ეს რაინდი სახელოვან, მედგარ წინაპართა სულია. დღეს საქართველო, სულიერად სდგება რუსეთის მიერ შექმნილ ეროვნულ ნანგრევებიდან, როგორც აღსდგა მონღოლთა შემდეგ, როგორც აღსდგა არაბთა, სპარსთა და თურქთა შემდეგ.

ჩნდება, იზრდება დიდი ეროვნული ღირებულობის ცოცხალი ძალა; ძალა მაღალ ეროვნულ შეგნებით და გრძნობით აღჭურვილი. ეს ახალი ძალა ახალგაზრდობაა. ეს ახალგაზრდობა თეთრი გიორგის გარშემო იყრის თავს; თ. გიორგის დროშის ქვეშ ირაზმება. რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ აღორძინებულ ეროვნულ გრძნობის და შეგნების ნამდვილი მატარებელი თ. გიორგია. და ესაა, რომ ასეთი ანდამატური ძალით იზიდავს მებრძოლ და შეგნებულ ახალგაზრდობას.

ვისაც სურს თ. გიორგის სინამდვილეს გაეცნოს ის ჩვენი პოლიტ. პარტიების ნაწერს და მოჭორილს არ უნდა აჭყვეს. საჭიროა უშუალო გაცნობა თეთრი გიორგის ორგანიზაციისა და პრაქტიკულად შესწავლა მისი. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაინახავს ადამიანი რა სიმტკიცე, რა ძლიერი სულისკვეთება, ძმობა სუფევს თ. გიორგის რიგებში.

დიახ, ცოცხალი ძალა, იდეოლოგიის ცხოვრებაში განმახორციელებელი ერთად ერთი ფაქტორია. ეს ცოცხალი ძალა, შეგნებული, ეროვნულ უდიდესი ღირსებისა, დღეს, თ. გიორგის საქართველოშიც და ევროპაშიც მრავალი ჰყავს. მაგრამ, თავისთავად, ცოცხალი ძალა, არას წარმოადგენს, ან სულ უმნიშვნელოა, თუ ის დარაზმული არაა. მეტადრე პოლიტიკურ დარგში, მეთოდს, სისტემას მოკლებული, უდისციპლინო თვით დიდი ნიჭი და ძლიერი ენერგიაც კი უმწეოა და ხშირად მავნე მოვლენათაც შეიძლება გადაიქცეს. სიძლიერეს და მებრძოლ ღირსებას ჭქმნის მხოლოდ ორგანიზაციულად მოწყობილი და დისციპლინით შემოსილი ძალა.

ორგანიზაცია ჭქმნის რწმენას და შემოიკრებს ძალებს, ორგანიზაცია და დისციპლინა კი ჭქმნის ამ ძალების მებრძოლ ღირებულებას.

ამ მხრივაც თ. გიორგი სწორე ნიადაგზედ დადგა. მან დაიმუშავა იმგვარი ტიპი ორგანიზაციისა, რომელშიც დისციპლინა სავსებით განხორციელებულია. წარსულის გაკვეთილი ბრძნულად გამოიყენა. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ქართ. პოლიტ. პარტიები ინტრიგების, ამბიციების და შინაგან განხეთქილების ასპარეზათ გადაიქცნენ. ამის ერთ დიდ მიზეზთაგანი მათი ორგანიზაციის დემოკრატიული სისტემაა. ამიტომ თ. გიორგიმ არ მიიღო დემოკრატიული სისტემა და დაამყარა ორგანიზაციის და დისციპლინის სამხედრო სისტემა. ხოლო ჩვენ განსაკუთრებულ მდგომარეობასთან და დღევანდელ ბრძოლის პირობებთან შეგუებული. რომ თ. გიორგიმ მიზანს სავსებით მიაღწია ამაში, რასაკვირველია, მხოლოდ ის დარწმუნდება ვინც თ. გიორგის ორგანიზაციას ახლო გაიცნობს. ესაა გარანტია თეთრი გიორგის გამარჯვებისა. თ. გიორგი დარაზმულია სულიერად და ფიზიკურად. მისმა იდეოლოგიამ სავსებით გამოხატა დღევანდელ საქართველოს სულისკვეთება და სურვილი. თ. გიორგიმ სთქვა რაც იყო სათქმელი და ქმნა რაც იყო საქმელი, როგორც გვასწავლიდა სოლომონ ლეონიძე. მომავალი დაამტკიცებს, რომ საქართველოს აღორძინება თ. გიორგის ხელით მოხდება. ე. ი. გათეთრგიორგელებული საქართველო აღორძინების და ძლიერების გზაზედ დადგება. ამაში ქართველი ხალხი სრული დარწმუნებული უნდა იყოს.

* * *

როდესაც ინგლისში სოციალისტური მთავრობა გაბატონდა, მენშევიკებმა განგაში ასტეხეს: არიქა, ეხლა კი მსოფლიოში სოციალიზმი დამყარდებაო. მენშევიზმის ბელადები პარტიის წევრებს არწმუნებდნენ: მაკდონალდი საქართველოს იხსნისო.

ერთი სიტყვით, ჩვენ მენშევიკებს სადემაგოგიო მასალა არ დაელევათ.

ჩვენ კი გაზ. „თ. გიორგის“ ფურცლებზედ წინასწარ განვსჭვრიტეთ მაკდონალდის მთავრობის სავსებითი დამარცხება. მართლაც, მხოლოდ ერთი წელიწადია რაც ინგლისს სოციალისტური პარტია განაგებს და აი სამარცხვინო შედეგი მისი მოქმედებისა:

1) უმუშავართა რიცხვმა 700 000-ით იმატა.

2) კონსერვატორულ მთავრობის მიერ დაწყებული მოლაპარაკება ეგვიპტესთან, მაკდონალდის მთავრობამ განხეთქილებით გაათავა და თავისუფლების მაძიებელ ეგვიპტეს სუდანის კარებთან სოციალისტური ხიშტი გადაეღობა. აი როგორ ანიჭებენ სოციალისტები კაცობრიობას მათ მიერ აღთქმულ თავისუფლებას.

3) პალესტინის არაბთა კომიტეტთან დაწყებული მოლაპარაკებაც განხეთქილებით დასრულდა და ამ ხალხისადმიც ინგლისის სოციალისტურმა მთავრობამ მტრული განწყობილება დაიჭირა.

4) ვერც ინდოეთთან მორიგდნენ ინგლისელი სოციალისტები და მათთან ვერავითარი მშვიდობიანი modus vivendi ვერ დაიმუშავეს. დღეს ინდოეთი რევოლიუციის ქარცეცხლშია გახვეული და მაკდონალდის ბრძანებით ინდოელ გლეხების და მუშების სისხლი უხვად იღვრება. ამნაირად, ყველგან და ყოველთვის აღთქმულ თავისუფლების მაგიერ, გაბატონებული სოციალისტები ხალხს მხოლოდ მონობის უღელს ადგამენ. ეს იმიტომ, რომ პრაქტიკაში გადატანილი სოციალისტური თეორია ყოველგვარ თავისუფლების და მშვიდობიანობის ანტითეზაა. დამოუკიდებლობის დროს, განა ჩვენი მენშევიკები ან სომხებს, ან აზერბეიჯანს ან ჩვენ მოძმე აფხაზებს და მესხეთის მუსულმანობას მოურიგდნენ? განა სოციალისტურმა გვარდიამ არ გადასწვა ოსეთი და ცეცხლ წაკიდებულ ჯავის საწყალ სოფლების მზერით დამტკბარი გვარდიის შტაბის წევრები არ ამბობდნენ: ეხლა კი გვესმის ნერონის ნეტარება, როდესაც ის თავისი ხელით ცეცხლ წაკიდებულ რომის მზერითა სტკბებოდაო? რა საზიზღარი და სამარცხვინო მოგონებაა!

5) ლონდონის განიარაღების კონფერენცია სამარცხვინოთ დასრულდა: მშვიდობიანობის დასამყარებლად შეკრეფილი ერები ერთმანეთს მტრულად გაშორდნენ.

6) ინგლისის სოციალისტურ პარტიაში მოხდა შინაგანი განხეთქილება. მაკდონალდი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ქედმოხრილი ლიბერალურ და კონსერვატიულ პარტიებს კავშირს ემუდარება.

7) მაკდონალდის მიერ საქართველოსადმი დახმარება გამოიხატა მაში, რომ მან ბოლშევიკური მთავრობა სცნო და გადაეცა ბოლშევიკები ინგლისში ისევ დააბრუნა. ამ ბოლო დროს მრავალი საბრძოლველი იარაღი და ტანკებიც მისცა. ყოველივე ამან რუსეთი დიდათ გაამაგრა.

აი ესაა სამარცხვინო ჯამი ინგლისის სოციალისტურ მთავრობის მოქმედებისა და ის სრული დამარცხება, რომელიც ჩვენ წინდაწინ ვამცნეთ მკითხველს.

* * *

ქართულ პოლიტ. პარტიების ბელადები ბრძანებენ: საქართველოს დაპყრობა რუსის ხალხის ბრალი კი არა, მისი მთავრობის ბრალიაო. უვიცობა ამაზედ შორს ვერ წავა.

რუსთა ჯოგი 80 მილიონ სულიდან შესდგება. მაგრამ მხოლოდ 5-10 მილიონიდან რომ შესდგებოდეს, კავკასიის ან სხვა ქვეყნის დაპყრობა, რუსეთის რევოლიმე მთავრობას, აზრათაც [illegible] ტერიალურ ძალას და ეს ძალა მის იმპერიალისტურ ფსიქოლოგიას, მისწრაფებას და იმპერიალისტურ პოლიტიკას. რუსეთის ყოველი მთავრობა, თუ წყობილება ამ პოლიტიკას ემსახურება და, თავის ნიჭის და უნარის დაგვარად, ახორციელებს. არსად, არც ერთ დემოკრატიულ რესპუბლიკას მის მიერ გადმოგდებულ მეფის იმპერიალისტურ პოლიტიკისათვის არ გადუხვევია. პირიქით: ყოფილან და არსებობენ მეფენი, რომელთ არავითარი იმპერიალისტური პოლიტიკა არა ჰქონიათ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი სამეფონი სუსტნი ყოფილან ან არიან.

რუსეთის ყოველი მთავრობა რუსის ხალხის იმპერიალისტურ მისწრაფებას ანხორციელებდა. მონარქია დაემხო, მისი ადგილი კერენსკი-წერეთლის სოციალისტურმა დიქტატურამ დაიჭირა. ამბითი, რუსეთში, დიდი შინაგანი ცვლილება მოხდა. მაგრამ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა კი უცვლელად დარჩა. ამიტომაც კერენსკი-წერეთელი, გეგეჭკორი და მათი ამხანაგები ჯარებს ამზადებდნენ საქართველოში, უკრაინაში და ფინლანდიაში შესასევად თუ ეს ქვეყნები გაბედავდნენ და დამოუკიდებლობას მოისურვებდნენ.

არც ბოლშევიკებმა გადუხვიეს რუსის ხალხის ისტორიულ გზას და 1921 წელს რუსეთის იმპერიას კავკასია ხელახლად დაუბრუნეს.

ამნაირად იმპერიალესტურ მისწრაფებას, ფსიქოლოგიას, დაპყრობის სურვილს თვით ერის ვითარება ჰქმნის. იმპერიალისტური პოლიტიკა რომელიმე მთავრობის მიერ ხელოვნურად არ იქმნება, არამედ ის ამა თუ იმ ერის წიაღიდან ბუნებრივად წარმოიშვება ხოლმე. იმპერიალიზმი ბუნებრივი შედეგია ერის არსებულ ძალის და მის გეოგრაფიულ ისტორიულ პირობებისა. რუსის ხალხს იმიტომ აქვს იმპერიალისტური პოლიტიკა, რომ მრავალრიცხოვანია; იმიტომ მოინდომა და შეესძლო ჩვენი დაპყრობა, რომ ამ მრავალრიცხოვნობის წყალობით მას დიდი მატერიალური ძალა შესწევს; იმიტომ მისცა მან საქართველო ცეცხლსა და მახვილს, ნამუსი ახადა ჩვენს ქალებს და სალოცავნი შეგვიგინა, რომ ბარბაროსი, მხეცი და ზნეობრივად გათახსირებულია. (*)

რესპუბლიკანურ შვეიცარიას ან მონარქიულ დანიას იმპერიალისტური პოლიტიკა არა აქვთ, იმიტომ რომ მცირერიცხოვანნი არიან და საკმარისი ძალა არ შესწევთ; არც არავის განადგურებას მოინდომებენ, რათგან ორთავე ქვეყნები კულტურულნი არიან. შეუძლებელია შვეიცარიას ან დანიას, რუსეთისამებრ, ყაჩაღი, მზაკვარი და ნადირი მთავრობა, ჯარი და მოხელეები ჰყავდეს, რათგან თვით შვეიცარიელნი და დანიელნი ყაჩაღნი და მზაკვარნი არ არიან.

მაშასადამე აშკარაზედ აშკარაა: საქართველოს მტერი თვით რუსის ხალხია, თავის სულისკვეთებით, თავის ეროვნულ პოლიტიკით და თავის მხეცური სულით, ერთი სიტყვით, თავის ეროვნულ ვითარებით.

ყოველმა პატიოსანმა პოლიტიკოსმა ეს ფაქტი უნდა ნათლად და აშკარად ამცნოს ქართველ ხალხს, რათგან მტრის ცნობა გამარჯვების აუცილებელი პირობაა. თეთრი გიორგი ამ სინამდვილეს მთელი მისი რეალური სიტიტვლით ამხელს. ჩვენ უკუ ვაგდეთ და ვგმობთ, როგორც ზოგიერთ ქართველის სანტიმენტალურ პატრიოტიზმს, რომელიც მხოლოდ მავნეა, ეგრეთვე ჩვენი პოლიტ. პარტიების მიერ რუსულ ქართულ დამოკიდებულების პარტიულ ნიადაგზედ დაყენების მეთოდს, როგორც ეროვნულ დანაშაულს.

ლევ. კვრესელიძე

სამარცხვინო ამბავი.

(გაგრძელება. იხ. თ.ვ. N 27.)

ყოფილ-ანია-რამიშვილის მოღვაწეობამ ისე გარყვნა ქართული სული, რომ ბევრნი დახოცილ გმირებსაც პარტიულობის მიხედვით დასტირიან. ამ ხალხს სხვა საქართველო თუ არ მენშევიკური— არა სწამთ. ამ მიზნის მისაღწევად ძმას არ ინდობენ, სამოქალაქო ომით იმუქრებიან და არ ერიდებიან პოლიტიკურ ბრძოლაში არავითარ უსვინიდისოდ და უზნეო საშუალებათ. და აი ეს «ვაჟკაცნი» თავისი მოძმის წინააღმდეგ, ხიყვარულს უსხნიან საქართველოს დამპყრობელს და გამანადგურებელ რუსეთს. აი როგორ დაგცინენ ეგ უბედურნი ზნეობრივად! ამ რუსოფილურ მანიფესტაციას მიეიმატა რამოდენიმე ქართველის პროტესტი. ამ პროტესტანთა შორის არიან სამხედრო პირებიც და მინდა მათ, მე რეზოლუციაც საქ—ის ჯარის ოფიცერმა ერთი რამ შეკვეთხოთ ბატონებო, აქ გამოვიდა ეგნ. დენიკინის მოგონებანი, სადაც ის ქართველებს საშინლად უდიერათ იხსენიებს. და სხვათა შორის ამბობს, რომ ქართველები მშიშარა არიანო. მოსთხოვეთ თქვენ პასუხი? თუ თქვენ ეს არ გეხებოდათ და სხვა ქართველებზე იყო ლაპარაკი? განა თქვენ რუსულ ჯარში არ მსახურობდით და მადლობის მაგიერათ გერგ ბლანძღავენ, რისთვის ამან არ აგაშფოთათ? მაგრამ დენიკინს რეზოლუციაზე პასუხს, რადგანაც ჩვენ ამ პროტესტანთა შორის ისეთს პიცნობთ, რომელსაც დენიკინის წინააღმდეგ ომში მოწაწილეობა შეეძლებლად მიახნდა. რა უყოთ ყოველ ერს ჰყავს თავისი დეგენერატები. დენიკინის წინააღმდეგ სხვები აღმოჩნდნენ. იმ ცხენოსან დივიზიონში, რომელმაც დენიკინის ჯარს ქვა ქუდით ახრეოლია, ოფიცროებს სულ საქ. თავადაზნაურობა იყო, გ. ხიმშიაშვილის და ჟეჟუგა ოდლოყამშილის მეთაურობით.

1918 წ. ქ.არმავირში რამოდენიმე ქართველი, რომელნიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ, დაატუსაღეს და რუსის ჯარის გაცვეშა ყველანი დახვრიტეს. მათ შორის ჩემი უფროსი ძმა. ებედერთ, დახვრეტის წინ, თავის საფლავები თითონ ამოათხრევინეს. ამ ამბის მოწმე ბრძანდება თვით ბ-ნი ხოშტარია. და ეს გაცი გვირჩევს რუსებს ნუ შეურაცხყოფთო! მაგრამ რა უნდა მოსთხოვო ისეთ ადამიანს, რომელმაც ჯერ ქართველთა ხისხლი არ გამშრალიყო, რომ მათ საფლავებს კადაბიჯა თავისი ჩარჩული საქმეების მოსახვევრებლად. ყოველ ქართველს აუხოვს, რომ პარიტეტულ კომიტეტის გასამართლების დროს აჯანყების შემდეგ, ბრალდებულთა შორის იყო ოფიცერი ეგ. ბერიძე. მას მიუსაჯეს სამუდამო ციხე და გაგზავნეს. სადღაც შორს რუსეთში გარდაიცვალა და ამ ტანჯულ გმირის საფლავი არავინ იცის სად არის. და მისი ბიძაშვილი კი ბ-ნი გრ. ბერიძე, პროტესტს აცხადებს როგორ გაბედეთ და რუსებს როგორ ჰკადრეთ რამეო. არც ეს არის გასაკვირვი, მაზინჯი ყოველ ოჯახშია. მაგრამ როდესაც ქართველი ადამ და ყოფილი ქართული ენის მასწავლებელი, რომელსაც რუსების წყალობით თავისი მეუღლე ვერ მიუბარებია მმოებლიური მიზისათვის, ქართველ ახალგაზრდობას ჰკიცხავს რუსების შეგირებისათვის, ეს უკვე საშინელებაა. ბ. იოსებ დადიანის ჭაღარას არაფერს შეგვაკადრებთ. მაო თვითონ ჯარგათ იციან, რომ მათი ადგილი ამ პროტესტანტთა შორის არ არის. დადიანს ეს არ ეკადრებოდა. მუშნი და ოთარ დადიანის ხსოვნის პატივისცემა მოითხოვდა, რომ უსუფლესის წმრის დადიანთა გვარისა, ხელი ამ პროტესტზე არ ყოფილიყო. ამას ჩვენზე უკეთ თვით ბ-ნი იოსები გრძნობს. ამ რუსოფილურმა მანიფესტაციამ ჩვენ აშკარათ დაგვანახა, რომ ჩვენ მტერი არ გვძულს. საზოგადოებაში გამოფენილია ის აზრი, რომ ის რაც დღეს საქართველოში ხდება ეს რუსები კი არ არიან, არამედ ბოლშევიკები. მართალია ეს? რუსეთის მონარქისმის დროს ხეჭავდნენ და ანადგურებდნენ ჩვენს ქვეყანას. ხდებოდნენ ყოველივე ქართულს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ ენერალი ტოლმაჩოვი იყო, დღეს კოზისარი მუდრია. აწიოკება ხოფლების— მაშინ და ეხლაც. ბაგონდება ერთი საქინელი ამბავი. ქ. ოხურგეთში ვართ. 1905 წელია. რუსის ჯარი დათარეშობს. ბიძა ჩემი ენერალი იყო და მის ეზოში მთელი განაკი იყო ლტოლვილთა ახლო სოფლებიდან, იმ იმედით, რომ ენერალის სახლში ვერაფერს გაგვდავენ ჯარისკაცები. პატარა ბიყავი და რომ მოგონდება ის საშინელი ბავშვების ტირილი და ქალების კივილი, ურუანტელი გამივლის ხოლმე.

საღამო იყო. მეიქმნა საშინელი კივილი: «თავადო ბიშვილო». გაგვიგდნენ გარეთ და ოთახში შემოიტანეს მთლად გასისხლიანებული თორმეტი წლის გოგო. ბავშვები გაგვიყვანეს და გვითხრეს რომ გოგონა დაჭრილიაო. ექიმის მოსაყვანათ თითონ მოხუცებული ბიძა ჩემი წავიდა. სხვა ვინ გა-

*) ალბად რუსების შესახებ ამ სიმართლის თქმისათვის პარიზის ქართ. კოლონიის თავმჯდომარე და მენშევიკების ლეგაციაოქმს შემიდგენენ და გაზეთ „ვოზროჟდენიას“ თან დამასმენენ.

რედავდა ქუჩაში გასვლას. ვერაფერმა უშველა, უბედური გარდაიცვალა. შემდეგში გავიგე, რომ საღამოვი რამოდენიმე რუსის ჯარის კაცს გაეუპატიურებინათ და სისხლიდან დაცლილიყო.

პატონო პროტესტანტებო, განა ის უბედური ჩემი დაი არ იყო, ჩემი სისხლი და ხორცი? და მე იმის უფლებასაც არ მაძლევთ რომ რუსეთის მზეცებს ძეგაინო? ისევ ის არ ხდება განა დღესაც? წინათ ხოცავდნენ «რუსეთის მეფის სახელით» და დღეს კი ლენინის და ტროცკის სახელით. მაგრამ ჯალათი ისევ ის რუსია და ჩვენ ძვირფასთ ეროვნებას წინათაც და ახლაც რუსული დედის გინებით ასალმებენ ცხოვრებას. მეფე დემოკრატიული რუსეთი იქნეს ეგეთვნის?

ინგლისში მუშათა მთავრობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა ინდოეთში ძაან უმასპინძლდებიან ტყვიისმფრქვეველებით თავისუფლებისათვის მებრძოლთ, მე ჩვენ დაგვინდეს ნეფერსტენიით მეპყრობილი რუსეთის ლემოკრატია და მის ბელადი ფხიხოტატი კერენსკი? მე რუსეთის იმედი გაქვთ? ეს დღეს მოგვესწარით ჩვენმა ახალგაზრდობამ რუსული ხრულიად არ იცის და ეს ვაუბატონები მოითხოვენ ინდა არ ინდა რუსული კულტურის თაყვანისმცემელი იყავიო. ცხადია ქართველი ხალხის ბედი ბ-ნ პროტესტანტებს სულ არ აწუხებთ. თუ მონარქისტული რუსეთი აღსდგა საპროტესტო წერილების ავტორები ფბილ ადგილებზე მოეწყობიან და ქართველი ერის კვნესა მათ სმენამდის ვერ მიაღწევს. დემოკრატიულ რუსეთში კი ჩვენი მენშევიკებისათვის იქნება სამოთხე. ესენი თავისი ძველი «კულტურული ავტონომიით» დაკმაყოფილდებიან და თავის ძინისტრის პორტფელს, რომელსაც ეერ სამარცხვინოდ ატარებენ, ადვილათ გასცვლიან «მაზრის კომისრობაზე» «ეპრეფდელან ვმლიკოფ რუსსიი».

ქართველ ერს საშინელი ტრაგედია მოელის, თუ დროზე არ დავირაზმეთ. ჩვენ უნდა შევიგნოთ სიდიადე მომენტისა, თორემ მერე გვიანღა იქნება. ჩვენ ვერც 1918 წ. მივხვდით თუ რა ისტორიული მომენტი მიეცა ქართველ ერს, თავის ეროვნულ მიზნების განსახორციელებლად. ყველაფერს ხელთ უყურებდით, და კიდევაც ისე უშნოთ დავკარგეთ თავისუფლება. საიდუმლოებას აღარ შეადგენს რომ ქართველობა, ამ საშინელ მომენტში ერის ისტორიისა, სრულიად დაქსაქსულია. ასეთი მდგომარეობის შერჩენა კი დამაღალ-ატიანობა. მთავარი დანაშაული ამაში მიუძღვის მას, ვინაც ერმა თავისი ბედი ანდო. ხოდ ეორდანიამ ერის ბედ-ლადოვას მენშევიკური პარტიის ლიდერობა არია. გაერთიანების მაგივრად საბოლოოდ ერის ყველა წრეების ნდობა კორეტად გამოიყენა და ვინც მენშევიკი არ იყო მათ ხურეში დანას უმზადებდა. «არ გააჭანოთო» გასცა ბრძანება. ნოე ეორდანიამ სამარადისოდ დაჰკარგა ერის უმრავლესობის ნდობა. ის ევროპიული მაშტაბითაც არ არის სოციალისტური პარტიის ლიდერი, არ-მედ რუსულ ყაიდაზედ აგებულ მენშევიკურ პარტიისა. მეტად პატარა კაცი გამოდგა. მას არ სწამდა საქართველოს დამოუკიდებლობა. როდესაც საქართველოს საკითხი სწყდებოდა მათ პარტიაში, ნოე ეორდანიამ თავი შეიკავა, და ეს კაცი შემდეგში სახელმწიფოს სათავეში მოექცა კიდევაც ისე კარგად წავიდა ჩვენი საქმე... ამ ხალხს სხვა საქართველო არა სწამთ, თუ არა მენშევიკური. მემარჯვენე საქართველოს რუსეთის დემოკრატია ურჩევნიან. ჩვენ კი რუსეთის სამოთხეს რამის ილის ჯოჯოხეთი გვირჩევნია, ჩვენს მორისაც ამაშია ვანსხვავება.

დროა ეროვნული, პატრიოტული საქართველო გაერთიანდეს, თუ გვინდა მომავალში ჩვენს ერს ავაცდინოთ მოსალოდნელი ხიფათი. მენშევიზმი ჩვენს ქვეყანას საშინელებას უმზადებს; მას წინ უნდა აუდგეს გაერთიანებული პატრიოტული მეგრძოლი საქართველო. დიდი ილიას ოქროს ავანი ისევ ბაზალეთის ტბის ძირას ასვენია. მეგრძოლთ ეძახის სამშობლო. ყველამ ერთად წელზაკიდებული და მედგრათ სამშობლოს დიდებისათვის. სხვა გზა არ არსებობს.

ნიკ. ნაკაშიძე.

ბერლინი.

ჩვენი პასუხი «ჩინოვნიკების» ორგანოს.

ეროვნულ დემოკრატების, გვაუბავს ჯგუფის ორგანოს, „საქართველოს“ მოკლედ უპასუხებთ. ეს გაზეთი იცავს რუსულ კულტურას და მას მაღლა აყენებს. გვარწმუნებს, ევროპიელებიც რუსულ კულტურაზედ დიდი აზრისა არიანო. ნეტა რომელი ევროპიელები? ევროპაში რუსების კულტურა მონმარტრის კაბარეებს ვერ გასცილდა. მაგრამ აი აზრი ფრანგის უდიდეს მწერალ ვოლტერისა:

„რუსები პრიმიტიულ მექსიკელებზედ უფრო ბარბაროსები არიანო. მონებს და მონებათ დაბადებულთ, არც არავითარი ხელოვნება გაეჩინათ და არცა აქვთ ამის მოთხოვნილებაო.

„რუსებმა მოსკოვში სპარსეთის ელჩის მდივანს ცოცხლად მოუნდომეს დაწვა, რათგან მან მზის დაბნელება წინასწარ გამოიანგარიშაო. რუსი სრულიად უსინდისოთ, აღსარების შემდეგ, იქურდებს ან კაცს მოჰკლავსო. რუსები მარხვაში ერთ ჭიქა რძეს არ დალევენ ცოდვაოო, მაგრამ ამავე დროს ოჯახის მამები, მღვდლები, ქალები და ქალიშვილები არაყით ითვრებიანო. რუსეთის არისტოკრატია უდისციპლინოთ იბრძოდა და ამიტომ გამარჯვების თავი არა ჰქონდაო. თვით პეტრე დიდი გარყვნილი ბარბაროსი იყო, რომელმაც საკუთარი შვილი თავისი ხელით დაახრჩოო და სხვა და სხვა.“

ესეთი იყო რუსეთი დესპოტიურ მონარქიის დროს. ამას მოჰყვა იმპერატორ ალექსანდრე პირველის, ეგრეთ წოდებული ლიბერალური მონარქია. პეტრე დიდმა მოჰკლა საკუთარი შვილი. ალექსანდრე პირველმა საკუთარი მამა ვერაგულათ მოაკვლევინა. ეს იმპერატორი შემოესია საქართველოს და რამდენჯერმე გადასწვა, ამოყლიტა ხალხი, საყდარ-მონასტერი ააოხრა, ციხე კოშკები გაანადგურა. მისმა მოხელეებმა, ოფიცრებმა, ღენერლებმა, ჯარის კაცებმა ხალხი აწამეს, ქართველი ქალები გააუპატიურეს, არც ბავშვი არც მოხუცი არ დაინდეს. იქნებ ყოველივე ეს გეჩვენებათ განათლებათ და კულტურათ, ბატონო გვაზავა? დღეს რუსის ხალხი ბოლშევიზმითაა მოცული და ადამიანის ხორცსა სჭამს. ან-იქნებ ესაა ცივილიზაცია? რუსის ხალხის 95% მა წერა-კითხვა არ იცის; მთელი რუსის ხალხი, მოკიდებული ინტელიგენტიდან და გათავებული „მუჟიკამდე“ ლოთი და გარყვნილია. იქნებ ეს გეჩვენებათ ცივილიზაციათ? სტამბოლში, ჩინეთში, იაპონიაში და ევროპაში რუსის ემიგრაცია (ე.ი. რუსეთის საუკეთესო ნაწილი) საკუთარ ცოლებს და ქალიშვილებს ჰყიდიან. თუ ევროპაში სადმე, აქა იქ რაიმე თეატრი შეჰქმნეს, ან მომღერალთა გუნდი შეადგენეს, თითო თეატრზედ და გუნდზედ ოცი საროსკიპო სახლი გახსნეს. იქნება ყოველივე ესაა ნიმუში უმაღლეს კულტურისა, ბ-ნო გვაზავა?

აი რასა სწერს რუსებზედ ევროპიელი მწერალი, მაგრამ ჩამომავლობით რუსი, ბ-ნი ბრიან-ჩანინოვი: მე 19 საუკუნის ბოლოშიც კი რუსი მხოლოდ ნახევრად ქრისტიანი იყოო“ ხოლო რა ქრისტიანია ის მე 20 საუკუნეში ამას ყველა კარგად ხედავს.

აი კიდევ ამავე მწერლის აზრი: „ქრისტიანობის დოგმას არ დაეძებს რუსი და მის ზნეობას არ მიჰყვება. ეს ხალხი ქრისტიანულ აღზრდას მოკლებულია. რუსს სისხლის მსმელ კერპთაყვანისმცემლის, ცრუმორწმუნეს და ანარქისტის ბუნება აქვს“.

ინგლისელი უდიდესი მწერალი უელსი სწერს: „ემიგრანტი რუსები არარაობას წარმოადგენენ“.

იქნებ ყოველივე ეს კულტურად მოგეჩვენათ ბატონო გვაზავა? საინტერესოა ვიცოდეთ რითი ზომავთ ამა თუ იმ ხალხის კულტურას? თქვენ გაზეთში მოთავსებულ წერილიდან აშკარათა სჩანს, რომ კულტურაზედ და ცივილიზაციაზედ მესამე კლასელ გიმნაზიელის წარმოდგენა გაქვთ. წაიკითხავდა რომელიმე გიმნაზიელი ქალი კუპრინს, ანდრეევს და აღტაცებით წამოიძახებდა: «რა კულტურულია რუსეთიო» და ოცნებობდა შორეულ მოსკოვზედ. რაც შეეხება თქვენს საბუთს: რუსის პოეტებს ქართველი მგოსნები სთარგმნიდნენო, უსუსური საბუთია. ბატონო გვაზავა, არ გირჩევნიათ ჩვენი მგოსნებიდან ის შეითვისოთ რაც მათ დადებითი და სასახელო ჰქონდათ? მაგალითად ლექსთა წერა. ეს ძალიან არგებს თქვენ ფუტურისტულ და აბდაუბდა ლექსებს. რაღა მათ ცუდ მაგალითს აჰყოლიხართ? ჩვენ იმისთანა მგოსნებიცა გვყავდა, რომელთ მხრებზედ რუსის ეპოლეტები ჰქონდათ გატყლაპული და მტრის ჯარებს მიუძღოდნენ სამშობლოს წინააღმდეგ. მაშ მიჰყეთ მათ კვალს.

თქვენი გაწიწმატება ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ მითი აიხსნება, რომ თქვენც და თქვენი უმთავრესი თანამშრომელნიც რუსულ ენაზედ, ლიტერატურაზედ და სულზედ ხართ აღზრდილნი. ერთი სიტყვით რუსის ინტელიგენტები ხართ. თქვენი ფსიქოლოგია აკაკი აკაკიევიჩ ბაშმაჩკინის ფსიქოლოგიაა. თქვენ და თქვენი თანამშრომელთა ბუნებას, რომელიმე კანცელარიაში ქაღალდების ბღაჯნა და უფროსებისადმი მორჩილება შეეფერება. მაგრამ დროთა ვითარებამ პოლიტიკოსთა როლში ჩაგაყენათ. ეს როლი ისევე გიხდებათ, როგორც მიკირტიჩა მეწვრიმალეს რაინდის ხმალი და მუზარადი.

აი, ეს იცის, ბატონო გვაზავა, თქვენს მიერ არჩეულმა „ზიგზაგიანმა“ გზამ: ხან რამიშვილის უღელში შეებმით, ხან რუსების ბანაკში ამოყოფთ თავსა.

მოკლეთ და ცოტა თუ ბევრად მსუბუქი ტონით გიპასუხებთ. ეს განძრახ, რათგან მეტის ღირსი არაა არც „ჩინოვნიკური“ თქვენი ჯგუფი და არც თქვენი უბედური ორგანო.

რედაქცია.

გრძნობა ჩაგრულთა მჩაგვრელისადმი.

წერილი I—ლი.

გადავწყვიტე გამეგო ბერლინის ქართველ საზოგადოების აზრი „თეთრი გიორგის“ და რუსოფილების შორის ატეხილ საკითხის შესახებ.

პირველად მივმართე ორ პატივცემულ პირს, რომელნიც თავიანთ მსოფლმხედველობით წინააღმდეგნი არიან „თეთრი გიორგის“ მიმართულებისა. პასუხი დაახლოვებით ისეთი იყო, როგორსაც მოველოდი:

—„თეთრი გიორგი“ მართალია,—ხოლო საჯაროთ არ უნდა ეთქვა. რუსებს ნუ გავაჯავრებთ-ო.

და პირდაპირ პასუხს არჩიეს „თეთრი გიორგი“ს მიმართულების კრიტიკა.

—მაქვს თუ არა უფლება ქართველს, აღელვებულს რუსთა უმაგალითო სიმხეცით, ჩემი მათდამი გრძნობა გამოვსთქვა ისე, როგორც მე ამას განვიცდი?

—კი, უფლება გაქვს, მაგრამ...

—არა, უფლება რასაკვირველია მაქვს. საბედნიეროთ რუსს არ აღმოჩნდა იმდენი ძალა, რომ თავისუფლება ევროპაშიც მოეკლა. ხოლო მე ის მსურს გავიგო: თქვენ ჰგმობთ თუ არა „თეთრი გიორგის“ ასეთ გამოსვლას?

—თანაუგრძნობ. კერძო წრეში სთქვით, რაც გსურთ. პრესაში კი არ უნდა გეთქვათ... რუსთა შორის მეგობრები გვყავს, (ეს არგუმენტი ხშირად გამეორდება) —არ უნდა გადვიმტეროთ.

„ინტერვიუს“ ჩვეულნი არა ვართ, დისკუსიას მივმართავთ. ჩვეულებისამებრ ერთმანეთს ვერას უმტკიცებთ და აზრის დასამტკიცებლად ათასს საბუთს ვპოულობთ.

მე ვღელავ:

—როგორ? მტერი გყავს, რომელიც მთელ ერს ბოიკოტს ნუ გალანძღავო!.. ეწყინებაო!..

—არა, არ იფიქრო რომ რუსები მიყვარდეს. პირიქით. ერთ ამბავს მოგიყვები: ჩემს შეგირდობის ჟამს სკოლაში ქართული ლაპარაკი სასტიკად იყო აკრძალული. ერთხელ, ერთი შეგირდი ქალიშვილი თავის მეგობარს ფანტენაზე დაელაპარაკა. კლასის დამრიგებელი ფარულად ახლოს ყოფილა. ჯაშუშობა სისტემა იყო რუსის სკოლაში. გაიგონა რა ქართული ენა, სტაცა ბავშვს კისერში ხელი და შემოუტია: „როგორ ბედავ მაგ ძაღლის ენაზე ლაპარაკს!“ შეურაცხყოფილმა ბავშვმა თავი ვერ შეიკავა, ეცა ყელში მასწავლებელს და საკინძე ჩამოაგლიჯა.

ჩვეულებრივი სურათი: შეურაცხყოფა ჩაგრულისა მჩაგვრელის მიერ. დასკვნა კი საკვირველია: = „ისინი თუ ასე იქცევიან ჩვენ მათ მაგალითს არ უნდა წავბაძოთ“... თითქოს ჩვენ რუსთა ქვეყანა აგვეწიოკებინოს და ჩვენ მიერ ჩაგრულ რუსებისათვის შეურაცხყოფა მიგვეყენებინოს!

საოცარია: „მთელ ერს ნუ შეურაცხყოფ. მთელ ერთან არა გვაქვს საქმე“. მაშ ჩვენი მტერი მარტო ის ყაზახი, ან ჯარისკაცი, ან მოხელეა, რომელიც საქართველოში მოდის, იკლებს ჩვენს ქვეყანას, ქლეტს ჩვენს ძმებს, აუპატიურებს ჩვენს დედებს, დებს, ცოლებს, ეკლესიას, სდევნის ენას, წარსულს, აწმყოს და მომავალს და მხოლოდ ასეთს რუსს შეგიძლიან უწოდო მტარვალი, დანარჩენ რუსებს კი მოუცადოთ, ჯერ ჩამოვიდნენ საქართველოში, იგივე სიმხეცე ჩაიდინონ და როცა დოკუმენტები საკმარისად დაგროვდებიან და მათ მიერ წამებულთა სია საკმარისად გაიზრდება, მხოლოდ მაშინ უწოდოთ მათაც დამსახურებული ეპიტეტი...

—მტრის გალანძღვა კარგი საშუალება არ არის...

—„თეთრი გიორგის“ გამოსვლამ ერთი კარგი შედეგი უკვე მოგვცა. აიძულა რუსეთის მოარშიყე ქართველები ნიღაბი მოეხსნათ. მაგრამ მტრისადმი სიძულვილის ახდილად გამოთქმას სხვა უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს. საჭიროა ყოველ დღე იმეორებდე რომ მტერი გძულს; საჭიროა ყოველ დღე იმეორებდე რათა გძულს, რომ ბრძოლის სურვილი არ დაგიჩლუნგდეს. მტრისადმი სიძულვილი კი უძლიერესი იარაღია დაჩაგრულ ერისა, რომელსაც დროებით ფიზიკურ ბრძოლის ძალა აღარ შესწევს. თუ ეს იარაღიც ხელიდან გააგდე, უკვე დაღუპული ხარ. განსაკუთრებით საშიშია იშვიათი ეგზამპლერი საქართველოსადმი კეთილად განწყობილ რუსისა. შემოესევა საქართველოს რუსთა ბრბო, ააწიოკებს, გაქლეტს, წაბილწავს, შემდეგ მოვა სათნოიანი და ქართველთა მეგობარი რუსი პოეტი, შეგვაქებს, მოგვიალერსებს და გვეტყვის: „ხომ ხედავთ? ჩვენშიც არის კეთილი ხალხი. ყველა ხომ არ გდევნით? დაივიწყეთ რომ ძმა მოგიკალით, დედა შეგიგინეთ. სამაგიეროთ ლამაზ ლექსს დაგიწერთ, შეგაქებთ, შეგამკობთ.

თუ სადმე აღმოჩნდა ისეთი რუსი, რომელიც მართლა შეიგნებს ჩვენს განწირულ მდგომარეობას, იმას არც ეწყინება ჩვენი რუსეთისადმი ბუნებრივი სიძულვილი. მსგავსი რუსი სანთლით საძებნელია და პოვნის შემდეგ მიკროსკოპის ქვეშ შესასწავლი. რუსეთი ბარბაროსულ ტრადიციებს კიდევ დიდხანს ვერ მოშორდება და საქართველოს ან სხვა ქვეყნების დაპყრობის სურვილებზედ უარს არ იტყვის. არც ერთი რუსი წინ არ აღუდგება მისი ერის ამ სულისკვეთებას. ვინც გვარწმუნებს თქვენი მეგობარი ვარო, ყოველთვის ჰგულისხმობს: „თუ რუსეთის ბატონობას დაემორჩილებითო“. ასე ეალერსება პატრონი ერთგულ ძაღლს.

ჩემს მეორე კითხვაზედ: რა აზრისა ბრძანდებით რუსოფილ პროტესტანტთა წერილის შესახებ, პირდაპირი პასუხი არ გამცა და განაცხადა:

—სადაც ხოშტარია ხელს აწერს, იქ ხეირი არ იქნება.

მეორე პირის აზრი თითქმის იდენტიურია პირველისა:

—თანაუგრძნობ ისეთ ახალგაზრდას, რომელიც რუსეთისადმი სიძულვილს განაცხადებს. მაგრამ ბრძოლის კარგ საშუალებათ არ მიმაჩნია. ახალგაზრდულ აღტაცებას არ უნდა აჰყვეთ.

თითქოს ყოველ დიდ იდეათა გამარჯვებაში ახალგაზრდათა აღფრთოვანებას არ ჰქონებოდეს გადამჭრელი მნიშვნელობა

—ასეთი გამოსვლა მისაღები არ არის, არც უნდა განმეორდეს. ხაზგასმით გეუბნებით. მაგრამ, გიმეორებთ, —სავსებით მესმის ავტორის გრძნობა. რაც შეეხება პროტესტანტებს, არ მესმის როგორ მოუვიდათ აზრათ მსგავსი ნაბიჯის გადადგმა. ამ ინციდენტის გარშემო ასეთი დავის ატეხა ჩემთვის გაუგებარია.

— პროტესტანტთა დეკლარაციას ხელს მოაწერდით?

—ჩემთვის არავის მოუმართავს. ეს საკითხი ბერლინში არც დამდგარა.

—ინიციატივას ხომ, ყოველ შემთხვევაში, არ იკისრებდით?

—არა. გიმეორებთ: არ მესმის მსგავსი გამოსვლების აზრი და ხელის-მომწერთა საქციელი მაკვირვებს.

აქაც ჩვენს შორის დისკუსიამ იჩინა თავი, თუ რამდენად მიზანშეწონილია მტრისადმი სიძულვილის საჯარო განცხადება.

იგივე არგუმენტი: რუსთა შორის მეგობრები გვყავს. ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ მათი გადამტერება არ არის სასურველი.

იგივე გაკვირვება: მაშ, „ვოზროჟდენიის“ კომპანიის შიშით რუსების შესახებ ცუდს ნუ ვიტყვით და ქართველ მებრძოლს მას მტრათ ნუ დავანახებთ?—

ბოლშევიკების ლანძღვა შემიძლიან? ალბათ. ამის წინააღმდეგი არავის არა აქვს რა. იგივე არგუმენტი აქ აღარ მოქმედობს.

რა უყოთ რომ ბოლშევიკს რეალური ძალა აქვს ხელთ, ქვეყანას ანადგურებს!

ვიღაც გაუბედურებულ, გამოდევნილ რუსის შიშით რუსეთის შესახებ ცუდს ნუ იტყვით, საშიშია. ბოლშევიკი კი ლანძღე. სად არის აქ ლოღიკა? ბოლშევიკი საშიში არ არის?

ზოგი რუსი მეგობრობას გვეფიცებაო. განა ბოლშევიკი უფრო მეტს მეგობრობას არ გვეფიცებოდა?

ის რუსი, რომელიც დღეს მეგობრობას გვეფიცება—როგორ გვეპყრობოდა მონარქიის ან კერენსკის დროს?

ასე მალე დავიწყეთ?

ბგრლინი. მათე გერესელიძე.

∴

1917 წლის რუსეთის დიდ რევოლიუციამდე „რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის“ პროგრამაში აღიარებული იყო ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. მაუხედავად ამისა, რომ ყველა რუსეთის ყოფილ სახელმწიფოში შემავალი ერების სოციალ დემოკრატიული პარტიები არსებობდნენ, ქართული სოც. დემოკ. პარტია არ არსებობდა თუმცა რუსულ სოც. დემოკრატიის მთავარ ძალას ქართველები შეადგენდნენ. სახელმწიფო სათათბიროში ამ პარტიის წარმომადგენლებათ ქართველები ჰყავდა.

საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტია დაარსდა მას შემდეგ, რაც რუსეთის სოც. დემ. პარტია ბოლშევიზმმა დაანგრია და გააძევა ასპარეზიდან. ერთა თვითგამორკვევის მიხედვით კი, რუსეთის სოც. დემ. პარტია ქართველებისათვის საკმარისად სთვლიდა საოლქო თვითმართველობას, მაგრამ 1917 წლის რევოლიუციამ რუსეთის სოც. დემ. პარტიის პროგრამა სრულიად წარშალა. ცხოვრების სინამდვილემ პროგრამაში მხოლოდ თეთრი ფურცელი ღა დასტოვა, რომელზედაც ერთი პწკარიც კი პროგრამისა, გარდა 8 საათის სამუშაო დღისა, არ დარჩენილა. პროგრამა პროგრამაა— ცხოვრება და სინამდვილე კი სხვაა.

1918 წ. დაარსდა „ქართული სოც. დემ.“ პარტია, რომელიც ცხოვრებამ და სინამდვილის გარემოებათა სვლამ აიძულა გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთის შემოსევას ამ პარტიიდან შექმნილი და გამოსული მთავრობა შეებრძოლა და შემდეგ ევროპაში გადმოხვეწისა აწარმოებდა ეროვნულ ბრძოლას რამდენადაც შეეძლო მას, რუსეთის საქართველოში უსამართლო ბატონობის წინააღმდეგ. უკანასკნელი მეორე ინტერნაციონალის ყრილობაზედ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელითაც ყველა იმ ერებს, რომელნიც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ძალით მოაქცია თავის საზღვრებში ნება არა აქვთ რაიმე წინააღმდეგობისა, არამედ, პირიქით, ხელი უნდა შეუწყონ მის საღ დემოკრატიულ წესწყობილებაზედ გადასვლას და შემდეგ დემოკრატიისა და მშვიდობიანობის ატმოსფეროში ქართველი ერი მიიღებს უფლებას თვითგამორკვევის. ამ მეორე ინტერნაციონალის ყრილობაზედ ქართულ სოც. დემ. წარმომადგენელიც ბრძანდებოდა.

მაშ ასე, ეროვნული ბრძოლა გათავდა, დაიღვარა უამრავი სისხლი უმანკო ადამიანებისა. ამოწყდა ათასობით ქართველი და წყდება დღესაც და ეგ ყველაფერი რისთვის, ნუ თუ რუსეთის ბოლშევიზმის გასადემოკრატებლად, რათა შემდეგ მისცეს ქართველ ერს უფლება თვითგამორკვევისა.

კარგია თქვენმა მზემ!

მეორეს მხრივ მთავრობის გაზეთში: „დამოუკიდებელ საქართველოში“ მოთავსებულია პატრიოტული წერილები 26 მაისის შესახებ. რაშია საქმე? „დამოუკიდებელ საქართველოს“ აღგზნებულ პატრიოტიზმს, თუ მეორე ინტერნაციონალის უსიცოცხლო რეზოლიუციის!! ცხადია, რომ პირველი სიტყვაა მეორე კი საქმე.

დღევანდელი სისხლში მცურავი საქართველო ღირსეულად შეაფასებს ამ მოვლენას და ხმა მაღლა ყველას გასაგონად იტყვის თავის სიტყვას. ეგ სიტყვა იქნება: დაგვანებეთ თავი! თქვენი სიყალბით ნუ ფიქრობთ გაგვაბრუოთ!

მგგზბარი.

თეთრი გიორგის მოწოდება გლეხებისადმი.(1)

ქართველო გლეხობავ!

თეთრი გიორგი ამ მოწოდებით უპირველესად თქვენ მოგმართავთ, რათგან თქვენა ხართ ჩვენი ქვეყნის დედა-ბოძი. თუ დედაბოძი მკვიდრი და მაგარი არაა, სახლი დაინგრევა. თუ ქართველი გლეხობა შეგნებული და შეძლებული არაა საქართველო დაეცემა.

ჩვენი ქვეყნის უმთავრესი წყარო ჩვენი დალოცვილი, ნოყიერი მიწაა. ხოლო საქართველო თავის საკვებ საზრდოს მიწის გულიდან თქვენის ხელით და ოფლით იღებს, ესე იყო ჩვენი სამშობლოს დასაბამიდან, ესევე იქნება მუდამ.

დღეს საქართველოს მოსახლეობის 85%-ს გლეხობა შეადგენს და ამიტომ ჩვენი ქვეყანა თავის ნივთიერ თუ სულიერ შემოქმედებაში უმთავრესად გლეხობას ემყარება. მაშასადამე საჭიროა, რომ ეს დასაყრდომი ბურჯი ყოველნაირად საღი იყოს. ხოლო ეს გლეხების ნივთიერ მდგომარეობიდანაა დამოკიდებული. გლეხების მდგომარეობა კი არასდროს არ გაუმჯობესდება თუ მათ საქართველოს მთელი მიწები სრულ საკუთრებათ არ გადაეცათ.

თქვენ ნახეთ, ჩვენო ძმანო გლეხებო, რომ ჯერ მენშევიკებმა მოგატყუილეს: თავად-აზნაურობიდან ჩამორთმეული მიწა თქვენ კი არ გადმოგცეს, როგორც გპირდებოდნენ, არამედ თვითონ დაეპატრონენ მას, რათგან მენშევიკურ სახელმწიფოს საკუთრებათ გამოაცხადეს და თქვენ კი ამ მიწაზედ ხიზნებათ დაგაყენეს. მენშევიკების მიერ დაწყებული, თქვენი განადგურების საქმე, მათმა ძმებმა, ბოლშევიკებმა დაასრულეს. ბოლშევიკებმა თქვენი უძრავი და მოძრავი ქონების კოლექტივიზაცია გამოაცხადეს და თქვენ ხიზნებიდან ბოლშევიკურ სახელმწიფოს მოჯამაგირეებათ გაგხადეს. ამით მენშევიკებმაც და ბოლშევიკებმაც, თქვენ, უფლების და სამართლის გარეშე დაგაყენეს, რათგან ადამიანი, რომელს საკუთრების უფლება არა აქვს დამცირებული და ღირსება აყრილია.

მენშევიკები და ბოლშევიკები ესე იმიტომ მოიქცნენ, რომ ორთავენი მარქსისტები არიან. მარქსი კი ქადაგებს, რომ მიწა სახელმწიფოს საკუთრება უნდა იყოს, გლეხები უნდა გაპროლეტარდნენ და მიწაზედ მუშაობდნენ ისევე დაქირავებულები, როგორც ქარხნებში მუშები მუშაობენო.

რაც მოჰყვა შედეგად მარქსისტების მოქმედებას თქვენ კარგათა ხედავთ: თქვენი მეურნეობა გაოხრებულია, თქვენ ჩაცვივდით გაჭირვებაში და სიღატაკეში; თქვენი ოფლით და შრომით შენაძენი ჯერ მენშევიკებმა წაგგლეჯეს და მერე ბოლშევიკებმა; მრავალი თქვენგანი ტყესა და მთაში გაიჭრა, მრავალმა მიატოვა სამშობლო და სათათრეთს გადაიხვეწა.

მაგრამ ქვეყანა უპატრონოთ არ რჩება და დღეს თქვენი ინტერესების დასაცავად მოქმედების ასპარეზზედ თეთრი გიორგი გამოდის. თეთრი გიორგი ამტკიცებს, რომ თუ გლეხკაცობა არ გავამაგრეთ, არც საქართველოს გამაგრება შეიძლება. გლეხკაცობის გამაგრება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ მიწები კერძო საკუთრებათ გადაეცემათ. ამიტომ თეთრი გიორგი გაიმარჯვებს თუ არა საქართველოში, საქართველოს ყველა მიწებს, გლეხკაცობას სრულ საკუთრებათ დაუმტკიცებს.

როდესაც გლეხს ეცოდინება, რომ ის მიწა, რომელზედ ის მუშაობს მას ეკუთვნის და ამ მიწაზედ ვერავინ შეეცილება, რასაკვირველია ის უფრო ხალისიანად და მუყაითად იშრომებს და მაშასადამე, საქართველოსაც მეტს სიმდიდრეს შესძენს.

გწამდეთ, ქართველო გლეხებო, რომ ბოლშევიკები მალე გადმოვარდებიან და თეთრი გიორგი მოსკოვიდან მოთრეულ ბინძურ რუსებს სამუდამოთ გასდევნის.

დამყარდება თუ არა საქართველოში თეთრი გიორგული სახელმწიფო, მაშინვე ყველა გლეხებს მენშევიკების და ბოლშევიკების მიერ წართმეული მიწები დაგიბრუნდებათ. გარდა მაგისა, ქვეყნის და თქვენს წინაშე, თეთრი გიორგი სდებს პირობას: ყველა ქართველ გლეხს აუნაზღაუროს „კოლექტივიზაციის“ მიერ მიყენებული ნივთიერი ზარალი. თ. გიორგის საშუალება აქვს ევროპაში და ამერიკაში. ამისათვის სესხათ საკმარისი თანხები იშოვნოს.

თეთრ გიორგული სახელმწიფო საქართველოს მთელ მიწებს გლეხკაცობას გადასცემს სრულ საკუთრებათ. ამ საკუთრებას ხელ შეუხებელ, უმაღლეს უფლებათ გამოაცხადებს. ეს იმიტომ რომ იმ ქვეყანაში, სადაც კერძო საკუთრება დაცული არაა, არასდროს ვერც წესიერება და ვერც მშვიდობიანობა არ დამყარდება.

თ.გ. საქართველოში მოსპობს კლასთა ბრძოლას და ქართველთა შორის შეჰქმნის ძმობას და ერთობას.

თ. გიორგულ სახელმწიფოს წინაშე ყოველი ქართველი სრულ უფლებიანი მოქალაქე იქნება; ძალ-მომრეობას ბოლო მოეღება; შრომით და ოფლით შექმნილ ქონებას ერთი მეორეს ვერ წაგლეჯავს.

ქართველო გლეხებო, დღეს თქვენ დამცველად და პატრონად თეთრი გიორგის მეტი არავინ გაგაჩნიათ.

მენშევიკები სპეკულიანტებს და გარუსებულ თავადებს დაუკავშირდნენ და თუ საქართველოში მათ ძალაუფლება ისევ ხელთ იგდეს თავის მოკავშირე სპეკულიანტებს და გარუსებულ თავადებს თავზედ წამოგასვავენ. თქვენ ქონებას და მიწებს ხომ თვალითაც ვეღარ იხილავთ. ეს ყველამ კარგად იცოდეთ და მენშევიკების მიერ მეორეთ აღარ მოტყუვდეთ.

თეთრი გიორგი ესალმება საქართველოს უმთავრეს ბურჯს, გლეხკაცობას! გწამდეთ, რომ თავისუფლების საათი მალე დაჰკრავს და თ. გიორგი შეჰქმნის საქართველოს სიძლიერეს და გლეხთა კეთილდღეობას.

თეთრი გიორგის დირექტორია.

გადაგვარების გზაზე.

ქართულ ეკლესიას საფუძველი ჩაეყარა მეოთხე საუკუნეში და შეინარჩუნა დამოუკიდებლობა ვიდრე რუსების დაპყრობამდე. თექვსმეტი საუკუნეა რაც ქართველი ერი ეთაყვანება წმიდა ჯვარს ჩვენი მხსნელისა. ღრმა, ქრისტიანულ რწმენისათვის მან შეუდარებელი სულგრძელობით აიტანა ტანჯვა-წამება აღმოსავლეთის ბარბაროსებისაგან და კვლავ გაუნელებელი დიადი რწმენა შეურხეველ სანთლად ენთო გულში. მოწამენი ქართული ტაძრებია, რომელნიც ურყევად მღაღადებელნი არიან მისი, თუ რა სიმტკიცით და მოთმინებით სცოცხლობდა ერის გულში ქრისტესადმი სიყვარული.

სულის სიძლიერე უფრო მაგრდებოდა, როდესაც ქრისტესათვის წამებულნი მოძღვარნი სისხლითა რწყავდნენ ღმერთთან აღსავალ გზებს, ეს ქრისტიანული იდეალის მაჩვენებელი ლამპარი უნათებდა ქართველ ხალხს მომავლისადმი რწმენაში.

რუსებს ქართული ეკლესიის ბრწყინვალება თვალს უბრმავებდა და ანტონ კათალიკოზის სახელი ჩრდილავდა სინოდს. აი, ამიტომ რუსის «ცარმა» ალექსანდრე 1-მა 10 ივნისს 1811 წელს სინოდის წინაშე მისი უთავსადობა აღიარა და რუსეთში დაიბარა, სადაც პანსიონი დაუნიშნა და სინოდში მეხუთე ადგილი შესთავაზა.

რუსის მთავრობამ მოსპო ქართული ეკლესიის თვითმართველობა, ისევე, როგორც სამოქალაქო წყობილებაში რუსული მეთოდები შეიტანა. როდესაც რუსების ბატონობას მძლავრად გაედგა ფესვები ჩვენს ქვეყანაში, მათ მოსპეს კათალიკოსობა და ქართული ეკლესიის ავტონომია. უკანასკნელი კათალიკოზი ანტონ მეორე, შვილი ერეკლე მეფისა, გადაასახლეს რუსეთში, სადაც მას მოეღო ბოლო 1828 წელს. შემდგომ, მის ადგილას დანიშნეს რუსის გალეშილი ეგზარხოსი.

სინოდის საშუალებით, რუსის მთავრობამ მოსპო ქართული ეკლესიის სახელი. მათ ჩამოაშორეს და ნელ-ნელა გადაასახლეს სასულიერო წოდება, რომელნიც მიეღენით ბოროტებისაგან იცავდნენ მორწმუნეებს და მათ ალაგას რუსები დააყენეს. ამ რუსებში ყველანი ზნეობით დაცემულნი და ქურდები იყვნენ, როგორც საერთოდ რუსები. არავითარი რწმენა არ გააჩნდათ და მხოლოდ საავაზაკოდ იყვნენ გამზადილნი. სასულიერო ტანსაცმელში გადაცმულნი ნამდვილი ჟანდარმები და რუსის აგენტები იყვნენ. მართლმორწმუნე ეკლესიის სახელით გააუქმეს ეკლესიაში ქართული ენა და შემოიღეს „სტაროსლავების„ ენაზე ლოცვა. ყოველი საშუალება იხმარეს ქართველებისათვის დაევიწყებინათ მშობლიური ენა და მოესპოთ მათში ეროვნული შეგნება. რომელი რუსის ხელიგანი ამას გულდასმით შეასრულებდა, ის დაჯილდოვებული იყო ხოლმე მთავრობის მიერ.

რუსის მთავრობამ ტფილისში 8 ივნისს 1815 წელს სინოდალური კანტორა გახსნა, რომლის დანიშნულება საქართველოს ეკლესიის გაქურდვა და მოსპობა შეადგენდა. სინოდმა ქართლ-კახეთში მოსპო ცამეტი ეპარქია და ოთხად გადააკეთა. ჩამოართვა ადგილ-მამული, რომელიც ეკლესიის ღვაწლით იყო შეძენილი. სინოდის მანდატურებმა ეს საეკლესიო ქონება ასწერეს და თავის საკუთრებათ გამოაცხადეს.

უწინ საქართველოში 12 საეპისკოპოსო იყო. რუსის პირველმა ეგზარხოსმა თეოფილაქტემ ეს საეპისკოპოსო ოთხად გარდაქმნა. ქართლ-კახეთისამებრ, დასავლეთ საქართველოში, სინოდის ბრძანებით ეგზარხოსმა თეოფილაქტემ ყველა ეკლესიებს ქონება ჩამოართვა, მრავალი საყდრები გააუქმა, რადგან წინააღმდეგობა დაინახა სინოდის მიმართ. ეკლესიის მიწების აღწერის და მის სინოდზე გადაცემის დროს, კერძო მესაკუთრეთა, თავად-აზნაურთა და გლეხების მამულებიც ზედ მიაყოლეს. სინოდის რეფორმა არ მიიღო ქართულმა ეკლესიამ და მას წინააღმდეგობა გაუწია. ყველა მიტროპოლიტები და არქიმანდრიტები დაატუსაღეს და ციმბირის გზას გაუყენეს. მიტროპოლიტი ძოსიმე ქუთათელს დატუსაღების დროს ისე მხეცურად მოექცნენ, რომ საბრალო მოხუცებული ჭკუაზე შეიშალა და ციმბირის გზაზე გარდაიცვალა.

ქართული სასულიერო წოდება რომ ხედავდა ეკლესიისა და რწმენის დაცემას ხალხში, საჩივრით მიმართავდა სინოდს, რომ შეემსუბუქებინა ეს მკაცრი რეჟიმი. ხშირად ასეთი თხოვნის სამღვდელო პირს ციხეში ამოალპობდნენ, ან და ადგილზევე, სამღვდელო ტანსაცმელში გადაცმულ ჟანდარმს მოაკვლევინებდნენ ხოლმე, რადგან ხედავდნენ, რომ მათ კვლავ ქართული ეკლესიის აღდგენა სურდათ.

ანტონ კათალიკოზი, კირიონი, ლეონიდ ოქროპირიძე, რომელთაც ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ტანჯვა-წამებაში მიიღოთ ბოლო —არიან საქართველოს სულიერი მამანი და სათაყვანებელი გმირები ეროვნული ბრძოლის დასაწყისში.

ქართული ეკლესია მოკლებული დამოუკიდებლობის წყაროს რომელსაც ქრისტიანული რწმენა წარმოადგენს, თავის განადგურებას მიუახლოვდა.

ვერც ერთმა ბარბაროსმა ხალხმა, რომელნიც შეუბრალებელი მტრები იყვნენ ქრისტიანიზმისა, ვერ მიაღწიეს საწადელს და ვერ გაანელეს ცხოველმყოფელი რწმენა ქართველ ერში, მაგრამ რუსის სუნიანმა მღვდლებმა თავისი გახრწნილება ადვილად მოახვიეს თავს, რადგან საუკუნის ბატონობამ და ზნეობრივმა უმძიმესმა ჩაგვრამ ისე დაასუსტა ქართველი ხალხი, რომ მხოლოდ ხორციღაა მისი ტანჯვის საფარი. რუსის მღვდლების გათახსირებულმა მოქმედებამ ქართველ ხალხში მოკლა რწმენა. გულგრილობამ მოიცვა მცხოვრებნი და თვით ღმერთმსახურეების გულშიაც შეიჭრა. ეკლესიები და ტაძრები ცალიერია თვით ბრწყინვალე დღესასწაულებში. იმ ქართველებში განელდა რწმენა, რომელზედაც ბიზანტიელი მწერალი პროკოფი ამბობს: „ქართველები, სხვა ხალხთან შედარებით, ყველაზე წმინდათ ასრულებენ ქრისტიანულ სარწმუნოებასო“. რწმენის დაცემის მიზეზი ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა იყო, კათალიკოზების გაუქმება, ეკლესიის შეგინება და რუსების გათახსირებული გავლენა, რომელიც სწამლავდა ხალხს.

რუსის სინოდი რასპუტინის დაწესებულება იყო, საიდგანაც ათასობით გამოდიოდნენ ტურტლიანი რუსის მღვდლები და ქვეყანასა ბილწავდნენ.

დღეს სინოდის მემკვიდრენი ბოლშევიკები არიან, რომელთაც დაასრულეს ეგზარხოსების მიერ დაწყებული სიმხეცე ქართულ ეკლესიის მიმართ. რუსების ბატონობის წყალობით საქართველო დაეცა ზნეობრივად და ეკონომიურადაც.

ურწმუნო ერი შეუძლებელია იყოს პატრიოტი და მაშასადამე კეთილშობილი. ზნეობასთან ერთად ეროვნული შეგნება დაიკარგა. რუსების უაღრესი ზნეობრივი გათახსირება ბოლშევიზმით დაგვირგვინდა. საქართველოც რუსების მსხვერპლი გახდა, მისი გარყვნილების ტალღა მასაც მოედო. სარწმუნოების დასუსტება ზნეობრივ დაცემით იწყება და ის ერი, რომელს ზნეობა არ გააჩნია, ის ყოვლად გადაგვარებულია და მისი მომავალი წაშლილი.

ბეჟან გიორგაძე.

---

(1) ერთი თვის წინეთ თ. გ. საქართველოში ამ მოწოდებით მიმართა გლეხკაცობას.

თ. გ-ის რედაქციამ ხარბინში მცხოვრებ ქართველებისაგან მიიღო შემოწირულება 1697 ფრანგ. ფრანკი, რომელთა გვარები მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

საზღვარ გარეთ 1918 წლიდან უკვალოდ დაკარგულია ნიკა ვარძელაშვილი მცხოვრები ქ. გორისა. თუ იცის ვინმემ მისი არსებობა ან ადგილმყოფობა გთხოვთ მისი ოჯახის პატივსაცემათ გვაცნობოთ რედაქციის მისამართზე.

Le Gérant : FÉLIX KHALDENBACH

Imp. METTHEZ FRÈRES, MONTBÉLIARD-HÉRIMONCOURT